KARR1367155295319

№13-98231
09 / ოქტომბერი / 2019 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი გოგაძეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის
მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში არის 8 პროკურორი წევრი. საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრებიდან 6 პროკურორ წევრს 2019 წლის 20 და 21 ოქტომბერს უწყდება კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადა 4 წელი.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 10 –ე პუნქტის თანახმად - „საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს ჩასანაცვლებელი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.“

კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად პროკურორთა კონფერენციის თავმჯდომარემ - საქართველოს გენერალურმა პროკურორმა 2019 წლის 8 ოქტომბრის N 149-გ ბრძანებით მოიწვია საქართველოს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრება - საქართველოს პროკურორთა კონფერენცია, რომელიც უნდა ჩატარდეს ქ. თბილისში, ჰუალინგი თბილისის ზღვის ახალი ქალაქი, სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის“ საკონფერენციო დარბაზში.

პროკურორთა კონფერენციამ საქართველოს პროკურატურის N1, N3, N4, N5, N6 და N8 კვოტაზე უნდა აირჩიოს საპროკურორო საბჭოს 6 ახალი პროკურორი წევრი და ფარული კენჭისყრით ცვლილებები უნდა შეიტანოს 2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პროკურორთა კონფერენციის მიერ დამტკიცებულ კონფერენციის რეგლამენტში.

პროკურორთა კონფერენციას, ესწრება ყველა პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. კონფერენციას ასევე დაესწრებიან წინასწარ აკრედიტებული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

კონფერენციის ჩატარება, დაგეგმილია რა სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“, შესაბამისად გვესაჭიროება საკონფერენციო დარბაზის დაქირავება სრული ტექნიკური აღჭურვით 500 პერსონისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს ქ. თბილისში მდებარე სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის“ საკონფერენციო დარბაზის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე